ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 37

21 იანვარი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16.00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომის დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისში, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სახელობის გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი გააცნო და აღნიშნა, რომ „27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება.
საქართველოს და ისრაელის მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობებიდან გამომდინარე გვსურს, რომ თბილისიც ამ ქვეყნებს შეუერთდეს და ჩვენს დედაქალაქში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი გეოგრაფიული ობიექტი დაარსდეს. საკითხზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების და ისრაელის ოფიციალური წარმომადგენლების ჩართულობით მოხდება," განაცხადა თინათინ ნიბლოშვილმა. ამ გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჰოლოკოსტი კაცობრიობის ტრაგედიაა, ხმამაღლა ვეტყვით „არას" ნაციზმს და რომ ჰოლოკოსტი დავიწყებას არასდროს არ მიეცემა და არასდროს არ განმეორდება.
კომისიის სხდომაზე ჰოლოკოსტის უმძიმესი დღეები გაიხსენეს და იმ ადამიანების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც წინ აღუდგნენ ნაციზმს და საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს და გადაარჩინეს სასიკვდილოდ განწირული უდანაშაულო ებრაელობა.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, მ/წლის 27 იანვარს, თბილისის საკრებულოში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით, ჰოლოკოსტის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას ქალაქ თბილისში, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სახელობის გეოგრაფიული ობიექტის დაარსების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი